



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

სადოქტორო პროგრამა: მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
29-30 მარტი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
08/06/2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი PhD in Life Sciences
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0511 ბიოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №103, 17 ოქტომბერი 2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ჩერქეზია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა მჭედლოური იაკობ გოგებაშვილის

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ღაჭავა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციციშვილი ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია მოიპოვა 2011 წელს. პროგრამა მოიცავდა ოთხ მიმართულებას. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება და მასში შემავალი ოთხი მიმართულება დაიყო სამ დამოუკიდებელ პროგრამად. მათგან ერთ-ერთია სადოქტორო პროგრამა „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“, რომელშიც შევიდა 2011 წლის აკრედიტირებული პროგრამის ორი მიმართულება. პროგრამა ანიჭებს კვალიფიკაციას „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი“. მისი განხორციელება ხდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრირებით.

სადოქტორო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი მკვლევარის მომზადება, რომელიც შეძლებს პროფესიული ეთიკისა და აკადემური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით განახორციელოს მნიშვნელოვანი ინოვაციური კვლევა არჩეული მიმართულებით (მოლეკულური ბიოლოგია, ნეირომეცნიერებები), მოახდინოს შექმნილი ახალი ცოდნის ტრანსფერი საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის დონეზე და გამოიყენოს ის შემდგომ კვლევით და აკადემიურ საქმიანობაში. აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის პროგრამა უზრუნველყოფს:

1. მაღალი სტანდარტების კვლევითი გარემოს შექმნას;
2. დოქტორანტების მომზადებას მათი ინდივიდუალური კვლევითი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

რეაკრედიტაციის მიზნებისთვის წარდგენილ სადოქტორო პროგრამაში „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“ განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მკაფიოს ხდის პროგრამის საერთო დიზაინს სწავლის შედეგების მიღწევასთან მიმართებაში. შემუშავდა სწავლის შედეგების მიღწევისთვის სამიზნე ნიშნულები. გადაიხედა პროგრამის როგორც სასწავლო კომპონენტები (ასახულია სილაბუსებში/კონცეფციებში), ასევე კვლევითი კომპონენტი. დარგში არსებული თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით განახლდა სასწავლო რესურსები. მნიშვნელოვნად შეიცვალა მეთოდური კურსების სილაბუსები - მოხდა შინაარსის განახლება თანამედროვე ტენდენციების და დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინებით.

გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, კვლევითი ლაბორატორიები აღიჭურვა თანამედროვე აპარატურით (მას-სპექტრომეტრი, პჯრ-

აპარატურა და სხვა); გაიზარდა ელექტრონული სამეცნიერო ბაზებისა და წიგნად ფონდში შემავალი ლიტერატურის რაოდენობა; დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტები (Elearning და Turnitin); განახლდა და გაიზარდა კომპიუტერული ლაბორატორიების რიცხვი; გაუმჯობესდა არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“.

აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამას „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“ აქვს ლემან ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის მხარდაჭერა და ის ჩართულია ფოლქსვაგენის პროექტში, რომელიც ითვალისწინებს ორი ხარისხის მინიჭებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და გოტინგენის უნივერსიტეტის მიერ კოტიუტელის ფარგლებში.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 26 მარტს ცენტრის ორგანიზებით zoom პლატფორმის საშუალებით შედგა საექსპერტო ჯგუფის წევრების შეხვედრა, სადაც მოხდა დოკუმენტაციის წინასწარი განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული შთაბეჭდილებების გაზიარება და საინსტიტუციო ვიზიტისთვის სავარაუდო კითხვების შემუშავება.

2021 წლის 29-30 მარტს ასევე zoom პლატფორმის საშუალებით განხორციელდა online აკრედიტაციის ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამი (მათ შორის სადოქტორო) საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის მიზნით. ჩატარდა შემდეგი შეხვედრები:

- შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- შეხვედრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- შეხვედრა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- შეხვედრა სტუდენტებთან;
- შეხვედრა კურსდამთავრებულთან;
- შეხვედრა დამსაქმებლებთან;
- შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ასევე მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასწავლო აუდიტორიები, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) ადგილზე დათვალიერება.

მეორე სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სადოქტორო პროგრამა „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში არსებულ აკრედიტაციის სტანდარტებთან. კერძოდ, პროგრამის მიზნები და სასწავლო შედეგები შეესაბამება მერვე დონით გათვალისწინებული ზოგადი და დისციპლინისთვის სპეციფიკური სასწავლო შედეგების სტანდარტებს; პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს განცხადებული სასწავლო შედეგების მიღწევას; არსებობს პროგრამის განხორციელებისათვის საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; პროგრამაში ჩართულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი; სასწავლო მასალა (სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები, ინტერნეტ-რესურსები) ხელმისაწვდომია; შემუშავებულია მექანიზმები სწავლის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა:

- 1 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 3 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
 - გადაიხედოს და შეჯერდეს მეთოდური და ზოგადი კურსების სილაბუსები თემების გადაფარვის გამოსარიცხავად.
 - პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ბიოუსაფრთხოების სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბიოუსაფრთხოების პირველი (BSL 1) და მეორე (BSL 2) დონის ლაბორატორიების რეკონსტრუქცია, ბიოუსაფრთხოების და ცხოველთა მოვლის და შენახვის თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ბიოლოგიაში სამეცნიერო კვლევების განხორციელების უზრუნველყოფა; კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებლად სამეცნიერო კვლევების განხორციელებას პროფესიული ეთიკისა და აკადემური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; განახორციელებენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას არჩეული მიმართულებით (მოლეკულური ბიოლოგია/ნეირომეცნიერება); კვლევის ხარისხის ამაღლებას და მკვლევართა ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში; ბიოლოგიაში ახალი ცოდნის შექმნისა და გავრცელების უზრუნველყოფას; პროგრამა ორიენტირებულია დოქტორანტებში იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული კარიერის დაწყებისთვის.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ განვითარების გეგმას. ნათლად არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარის მოთხოვნებზე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ლოგიკურ კავშირშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების სილაბუსები, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლების ფორმატი, სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური ადამიანური რესურსი - აკადემიური და დამხმარე პერსონალი, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და წიგნადი ფონდი უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას.

თვითშეფასების ანგარიშს თან ერთვის შრომის ბაზრის კვლევა. ბაზრის მოთხოვნებთან უკეთ მორგების მიზნით ჩატარებულია კვლევები პოტენციურ დამსაქმებლებთან (ფოკუს ჯგუფი) და პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებთან. უნივერსიტეტმა უკუკავშირის საფუძველზე, პროგრამის მიზნებში პრიორიტეტი მიანიჭა ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა ახალი ცოდნის შექმნისთვის აუცილებელი კვლევითი და ანალიტიკური უნარების გამომუშავება, დარგში არსებული უახლესი ტენდენციების, მეთოდების და ცოდნის დაუფლება. სადოქტორო პროგრამა თანხვედრაშია დარგში და დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან. 2015-2020 წლების მონაცემებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 100%-ს შეადგენს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მათგანი დასაქმებულია სპეციალობით, აქედან 3 კურსდამთავრებული - გერმანიის, კანადის და აშშ-ის კვლევით ინსტიტუტებში.

დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციის დონით, აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო კვლევით პროექტებში, კარგად იცნობს სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს. პროგრამა ორიენტირებულია იმ პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულებს კონკურენტუნარიანნი იყვნენ შრომის ბაზარზე და დასაქმდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო ცენტრებსა და ლაბორატორიებში, დიაგნოსტიკურ ცენტრებში, ბიოტექნოლოგიურ, აგრარულ და ფარმაცევტულ საწარმოებში და ა.შ.

პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.iliauni.edu.ge)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2>
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიშები
- დამსაქმებლის კვლევა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოქტორანტურის საფეხურის აღმწერთან. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა/განახლება განხორციელებულია ეტაპობრივად და უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების - პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების ჩართულობას და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC)“, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიმუშავებს ტრენინგ-მოდულებს პროგრამის შეფასების, კონკრეტულად კი, პროგრამის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და ანალიზის შესახებ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას ასევე გათვალისწინებულ იქნა რობინსონ კოლეჯის (კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო) ემერიტუსის, დოქტორ მაკკაბესა და იზმირის ბორნოვას უნივერსიტეტის პროფესორის, თურქეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, ევროპის ბიოქიმიურ საზოგადოებათა ფედერაციის საგანმანათლებლო კომიტეტის თავჯდომარის, დოქტორი ფერჰან საგინის შეფასება/რეკომენდაციები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს პროგრამის შეფასების საკითხებზე ტრენინგ-მოდული, რომელიც ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სფეროში. ტრენინგ-მოდულის გარდა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და რეკომენდაციას აძლევს პროგრამის ხელმძღვანელებს და სამუშაო ჯგუფს პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებასთან და შეფასებასთან დაკავშირებით. პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებს, მის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევს პროგრამის კურიკულუმის ექსპერტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული,

მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტურია. პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან და უზრუნველყოფს დოქტორანტს იმ უახლესი ცოდნითა და კვლევითი-აკადემიური უნარებით, რომელიც აუცილებელია ახალი ცოდნის საჭიროების განსაზღვრისათვის; რელევანტური მეთოდებით კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, მიღებული შედეგების ანალიზისა და ვალიდობის დადასტურებისთვის მაღალი სტანდარტის სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების გზით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესის და „მოლეკულური ბიოლოგიის და ნეირომეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების გათვალისწინებით. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, განხორციელდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულთან მიმართებაში დადარება, სტუდენტთა მონაცემების ანალიზი და იმ შემთხვევაში, თუკი სამიზნე ნიშნული არ იქნება მიღწეული, განისაზღვრება გაუმჯობესების გზები. შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები აისახება სადოქტორო პროგრამის პერიოდული შიდა თვითშეფასების ანგარიშში. ნათლად არის გაწერილი, თუ როგორ მოხდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების კომპლექსურობა და მრავალფეროვნება ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და ხელს უწყობს დოქტორანტებში კვლევითი და ტრანსფერული უნარების შეფასებას სხვადასხვა თანამედროვე მიდგომებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით (მაგ. პროსპექტუსი, სადოქტორო კოლოკვიუმი და მისი ანგარიშები, სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, პუბლიკაციები).

პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს თან ერთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები. განხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.

სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული იქნება პროგრამების მაჩვენებლები (მაგალითად, გამოქვეყნებისა და დაცვის მაჩვენებლები, სტუდენტების აკადემიური მოსწრება). აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას, ასევე გამოყენებულ იქნება საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან მიღებული უკუკავშირი. დოქტორანტების ინფორმირებულობა უზრუნველყოფილია როგორც სასწავლო კომპონენტის, ასევე კოლოკვიუმის ფარგლებში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე.

ამრიგად, სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს შედეგების გასაზომ ყველა საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებას და ანალიზს. ხდება სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის შეფასების შედეგები კი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა და სწავლის შედეგების რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა
- დამსაქმებლის კვლევა

<ul style="list-style-type: none"> • უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება • სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები • სტუდენტების და კურსდამთვრებულების კვლევის ანგარიშები • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია • პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები • აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში, ჯანდაცვის სფეროში, ფსიქოლოგიის სფეროში;
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში ან მინიმუმ B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი;
- ზეპირი გამოცდა.

ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატთან დაკავშირებული მოთხოვნები დაზუსტებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომისა და დოქტორანტურის დებულებაში.

უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა“.

ამრიგად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია - პროგრამაზე მიღების შესახებ ინფორმაცია თავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი, რუბრიკა „სწავლა“ www.iliauni.edu.ge;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“ შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით. პროგრამა ასევე ეყრდნობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებას.

პროგრამის განახლების პროცესი განხორციელდა რამოდენიმე ეტაპად, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. მნიშვნელოვანია, რომ დასაქმების ბაზრის საჭიროებების და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინების მიზნით პროგრამის მიზნებისა და შედეგების ჩამოყალიბების დროს მოხდა დამსაქმებლების რეკომენდაციების გათვალისწინება. ასევე გარე შეფასების მიზნით პროგრამის დოკუმენტების განხილვაში მოხდა უცხოელი პარტნიორების ჩართვა. მიღებული უკუკავშირის (შენიშვნები, რეკომენდაციები) გათვალისწინებით შეიქმნა სწავლის შედეგების რუკა, შემუშავდა პროგრამის სრული პაკეტი - კურიკულუმი, სილაბუსები, კონცეფციები. პროგრამის საბოლოო ვერსია დამტკიცდა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მიერ.

პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და მოცულობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით (კვლევითი განაცხადი, უცხო ენის მაღალი კომპეტენცია, ზეპირი გამოცდა) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სადოქტორო პროგრამა „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“ მოიცავს ორ ქვე-მიმართულებას: მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები, რომელთა კვლევითი და ასევე სასწავლო კომპონენტი შესაძლოა ურთიერთგადაფარვადი იყოს. მოლეკულური ბიოლოგიის მიმართულება ფოკუსირდება სინაფსური პლასტიურობის და ნეიროპათოლოგიების მოლეკულური მექანიზმების შესწავლასა და პათოგენების მოლეკულურ დახასიათებაზე. ნეირომეცნიერებების მიმართულება უზრუნველყოფს ნეირომეცნიერებების ინტერდისციპლინურ კონტექსტში შესწავლას როგორც ფუნდამენტური, ასე გამოყენებითი ასპექტების გათვალისწინებით. კვლევები ფოკუსირებულია თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების, ინფორმაციის პროცესირების ძირითადი პრინციპებისა და ნეირონული მექანიზმების შესწავლასა და ამ ბაზისური ცოდნის კლინიკურ ასპექტებთან დაკავშირებაზე.

პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. მისი ხანგრძლივობაა 3-5 აკადემიური წელი.

სადოქტორო პროგრამაზე სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა სასწავლო კომპონენტში უნდა დააგროვოს მინიმუმ 60 კრედიტი, მათ შორის:

სადოქტორო სემინარი I, II და დარგობრივი სემინარი - 18 (6X3) კრედიტი; ასისტირება - 12 კრედიტი; მეთოდური და ზოგადი კურსების ბლოკი - მინიმუმ 12 კრედიტი; არჩევითი კურსები - მაქსიმუმ 18 კრედიტი.

საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს მიეცემა შესაძლებლობა, კრედიტების გარეშე გაიაროს აღდგენითი კურსი (ე.წ. remedial course) სამაგისტრო საფეხურიდან.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სადოქტორო კოლოქვიუმების სერია, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მის შედეგზე ორიენტირებულობას. კოლოქვიუმების ფარგლებში დოქტორანტები წინასწარ შეთანხმებული კვლევის გეგმის შესაბამისად, გარკვეული პერიოდულობით წარადგენენ თავიანთი კვლევების შედეგებს პროგრამაში ჩართული პროფესორების, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და დოქტორანტების (მათ შორის მომიჯნავე დისციპლინების

სადოქტორო პროგრამებიდან) წინაშე და იღებენ მათგან უკუკავშირს. სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში გამოქვეყნება. კერძოდ, დოქტორანტს სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე მოეთხოვება მინიმუმ ორი პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებული უნდა იყოს Scopus და/ან Claryvate Analytics 0.5-ზე უფრო მაღალი იმპაქტ ფაქტორით/CiteScore.

ამრიგად, პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი კომპონენტების ლოგიკურ თანმიმდევრობას. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და მისი კომპონენტების ერთობლიობა უზურუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება პროგრამის რუკით.

სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადოქტორო ნაშრომის დაცვა ხდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადოქტორო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტში.

ინფორმაცია პროგრამის სტრუქტურის შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომი, ის განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ვებგვერდსა და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემაში „არგუსი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- სილაბუსები/კონცეფციები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევა
- სადოქტორო პროგრამების შეფასების კვლევის ინსტრუმენტები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი www.iliauni.edu.ge
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა “არგუსი”
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტების მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და დოქტორანტურის საფეხურის მოთხოვნებთან.

სადოქტორო პროგრამა მოიცავს სადოქტორო სემინარების (თითო სემინარი მოიცავს 6 კრედიტს) სერიას. სადოქტორო სემინარების ფარგლებში დოქტორანტები ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელებთან ერთად პროსპექტუსზე მუშაობენ. სემინარის განმავლობაში დოქტორანტები განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას სადისერტაციო კვლევისთვის; აკეთებენ რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას; ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს და კვლევის მეთოდოლოგიას; ადგენენ ბიბლიოგრაფიას და აყალიბებენ კვლევის გეგმას; ადგენენ კვლევითი აქტივობების გეგმა-გრაფიკს.

სადოქტორო სემინარების სერია სრულდება პროსპექტუსის წარდგენით და მისი დაცვით დარგობრივი კომისიის წინაშე. პროსპექტუსის დაცვის შემდეგ უნივერსიტეტის კვლევითი პროექტების ეთიკურობის დამდგენი კომისიის მიერ უნდა შემოწმდეს კვლევით პროექტში დაგეგმილი აქტივობების ეთიკის საუნივერსიტეტო და საერთაშორისო ნორმებთან და რეგულაციებთან შესაბამისობა.

პროსპექტუსის დაცვის შემდეგ, დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სემესტრში ერთი კოლოკვიუმი, რომლის ფარგლებში დოქტორანტი წინასწარ შეთანხმებული კვლევის გეგმის შესაბამისად, წარადგენს თავისი კვლევების შედეგებს პროგრამაში ჩართული პროფესორების, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და დოქტორანტების (მათ შორის მომიჯნავე დისციპლინების სადოქტორო პროგრამებიდან) წინაშე და იღებს მათგან უკუკავშირს.

ასისტირება უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, უძღვება აკადემიური კურსის კომპონენტს, როგორც ლექტორი/ტუტორი; შესაბამისი ან მომიჯნავე მიმართულების სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს უწევს კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას, რეცენზირებას, რაც სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით სასარგებლოა, როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სწავლების ასისტირების დაწყებამდე დოქტორანტს გავლილი უნდა ჰქონდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ ერთი ტრენინგი, რომლის მიზანია სწავლების და შეფასების ახალ მეთოდებთან და მიდგომებთან დაკავშირებული თეორიული საფუძვლების გაცნობა და შესაბამისი პრაქტიკული უნარების განვითარება. ყოველივე ზემოთქმული მტკიცდება მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგებით.

მეთოდური და ზოგადი კურსების ბლოკში წარმოდგენილია 4 კურსი, რომელთაგანაც სტუდენტი ირჩევს მინიმუმ ორს (12 კრედიტი). ესენია: მოლეკულური ბიოლოგიის და ნანობიოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები; ფუნდამენტურ ნეირომეცნიერულ კვლევებში გამოყენებული თანამედროვე სტრატეგიები; მოლეკულური ბიოლოგიის უახლესი მიღწევები; ქცევის ნეირობიოლოგია. სტუდენტს ასევე აქვს შესაძლებლობა აირჩიოს მისთვის სასურველი არჩევითი კურსები მაქსიმუმ 18 კრედიტის ფარგლებში. კურსების სილაბუსების დათვალიერებისას შეიქმნა შტაბეჭდილება, რომ რამოდენიმე კურსი შინაარსობრივად გადაფარავს ერთმანეთს (მაგალითად, „მოლეკულური ბიოლოგიის და ნანობიოლოგიის

კვლევის თანამედროვე მეთოდები“ და „სტრუქტურული ნეირომეცნიერება“ (არჩევითი კურსი) იხილავს რამოდენიმე საერთო ტოპიკს (მაგალითად, ატომურ-ძალოვანი მიკროსკოპია, ნანოდიფიკაცია). სასწავლო თემების ამგვარი გადაფარვის გამორიცხვის მიზნით, სასურველია, რომ გადაიხედოს და შეჯერდეს სასწავლო კურსების შინაარსი.

მეცნიერების თანამედროვე მიღწევისა და აქტუალური თემატიკის შესაბამისად ხდება სილაბუსების ყოველწლიური განახლება.

თითოეული კურსის სილაბუსში/კონცეფციაში მითითებულია კომპონენტის მიზანი, სწავლის შედეგები, აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. კურსის სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები. სასწავლო მასალა (ძირითადად ბოლო წლების პუბლიკაციები) ეფუძნება სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებსა და კვლევებს.

კურსის სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ელექტრონული ვერსიები განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და გაზიარებულია არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსის“ საშუალებით ან/და შესაბამისი კურსის „Elearning“-ზე.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო ნაწილში ჩართულია უცხოელი სპეციალისტები (მაგალითად კურსებში „ბიონფორმატიკის მეთოდები და პროგრამირება“, „მოლეკულური ბიოლოგიის და ნანობიოლოგიის კვლევის თანამედროვე მეთოდები“, „სტრუქტურული ნეირომეცნიერება“).

თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- სილაბუსები/კონცეფციები
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი
- კურსების შეფასების კითხვარი
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გადაიხედოს და შეჯერდეს მეთოდური და ზოგადი კურსების სილაბუსები თემების გადაფარვის გამოსარიცხავად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
როგორც პროგრამის აღწერაშია განცხადებული, პროგრამის კომპონენტები ხელს უწყობს დოქტორანტს, შექმნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა და ანალიტიკური უნარების საფუძველზე შეძლოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური კვლევის დაგეგმვა და განხორციელება.

სწავლების პროცესში დოქტორანტის კვლევასთან დაკავშირებული უნარების განვითარება უზრუნველყოფილია კოლოქვიუმების სერიითა და მეთოდური კურსების ფარგლებში. დოქტორანტები სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე ამზადებენ სადისერტაციო ნაშრომს, ხოლო სადოქტორო კვლევის ფარგლებში შექმნილი ახალი ცოდნის ვალიდობის დადასტურებას და დისემინაციას ახდენენ სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებით საერთაშორისო რეცენზირებად გამოცემებში.

დოქტორანტები აწარმოებენ კვლევას უმეტესად ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტისა და ძილ-ღვიძილის ციკლის შემსწავლელი თ. ონიანის ლაბორატორიის ბაზაზე. კვლევის მხარდაჭერა ასევე ხდება პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; გელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი; ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი).

პროგრამის აკადემიური პერსონალი თანამშრომლობს უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში (მათ შორის Horizon 2020-ის ფარგლებში). ასევე, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს სსიპ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ ფუნდამენტურ კვლევით პროექტებში.

2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომლის მისიას მაღალხარისხიანი სტრუქტურული სადოქტორო განათლების ეფექტური მხარდაჭერა და ხელშეწყობა. აღნიშნული საერთაშორისო სადოქტორო სკოლა დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფს ინკლუზიური, ინტერდისციპლინური და საერთაშორისო აკადემიური კულტურისა და კვლევით გარემოს შექმნას. ამ სადოქტორო სკოლაში მონაწილეობას ასევე „მოლეკულური ბიოლოგიის და ნეირომეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტიც ღებულობენ. ჩატარებული შეხვედრების დროს აღინიშნა ამგვარი თანამშრომლობის ეფექტურობა.

ილიას უნივერსიტეტის განვითარების სამსახური სთავაზობს შემდეგ მხარდაჭერ სერვისებს: დახმარება საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირება; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარება; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზება; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; ინფორმაციის გავრცელება საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი და უნივერსიტეტის ბიუჯეტი ითვალისწინებს დოქტორანტების მონაწილეობის დაფინანსებას სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა თუ ვორქშოპებში. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით დაწესდა პასკალის პრემია, რომელიც გადაეცემა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან

აფილირებულ ახალგაზრდა მეცნიერს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პუბლიკაციისთვის, რომელსაც ექნება სტატიის სახე და გამოქვეყნებულია ხელმძღვანელის გარეშე. ყოველივე ეს დადებითად აისახება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- განვითარების სამსახურის დებულება
- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება
- საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება
- კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის შესახებ ინფორმაცია <http://internationaldoctoralschool.iliauni.edu.ge/home/>
- სადოქტორო დონეზე თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულება; ერთობლივი ხელმძღვანელობის შესახებ ხელშეკრულება ჩარჩო-დოკუმენტი
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოებული კვლევითი პროექტების ეთიკურობის დამდგენი კომისის შექმნისა და მისი სამუშაო პირობების განსაზღვრის შესახებ“
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამაში გამოყენებული ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 პროგრამის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. კერძოდ, გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები: ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, პრეზენტაცია, რეფლექსია, სუპერვიზია და სხვა.
 სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების

და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავება. ექსპერტთა ვიზიტის დროს ჩატარებულ შეხვედრებზე ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის/გრაფიკის შემუშავების შესაძლებლობა და ზოგადად პროგრამის მოქნილობა მის მნიშვნელოვან დადებით მხარედ დასახელდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები/კონცეფციები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- კურსების შეფასების კითხვარი
- სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ინსტრუმენტები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სასწავლო კომპონენტების შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილება სტანდარტული სქემით მიმდინარეობს:

- (A) 91 - 100 ფრიადი
- (B) 81 – 90 ძალიან კარგი
- (C) 71 – 80 კარგი
- (D) 61 – 70 დამაკმაყოფილებელი
- (E) 51 – 60 საკმარისი
- (FX) 41 – 50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) 0 – 40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესი:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

თუ დისერტანტმა მიიღო უარყოფითი შეფასება - insufficient - არადამაკმაყოფილებელი, მან გადამუშავებული ნაშრომი უნდა წარადგინოს ერთი წლის განმავლობაში.

თუ დისერტანტმა მიიღო შეფასება sub omni canone - სრულიად არადამაკმაყოფილებელი, მან უნდა წარადგინოს ახალი ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში.

შეფასების სისტემა, მათ შორის შეფასების ფორმები, მეთოდები და პროცედურები დეტალურად განსაზღვრულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტის აღწერაში.

სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემით „არგუსი“ დოქტორანტი ეცნობა სილაბუსებს და შესაბამისად, კურსის დაწყებისთანავე იცის შეფასების ძირითადი კომპონენტები და კრიტერიუმები.

სხვადასხვა კომპონენტის ფარგლებში უზრუნველყოფილია ერთზე მეტი შემფასებელი. სადოქტორო ნაშრომები იტვირთება პროგრამაში „Elearning” და მოწმდება პლაგიატზე პროგრამა „Turnitin“-ით.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. შეფასების კრიტერიუმებში გათვალისწინებულია:

- საკვლევი პრობლემის/საკითხის აქტუალურობა, კვლევის მიზნის, საკვლევი კითხვის/კითხვების (ჰიპოთეზის) რელევანტურობა;
- დისერტაციის კონტრიბუცია ახალი ცოდნის შექმნაში;
- მეთოდოლოგია;
- შედეგების/მიგნებების ანალიზი და დასკვნების რელევანტურობა;
- ნაშრომის სტრუქტურა, აკადემიური სტილი, მასალის წარმოჩენა

სტუდენტთა მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრება უზრუნველყოფილია ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესის შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) ძალიან მაღალია (ბოლო 3 წლის კურსდამთავრებულების 100%-ის შეფასება არის ფრიადი), რაც ან შეფასების სისტემის ხარვეზებზე მიუთითებს, ანდა სტუდენტების ძალიან მაღალი აკადემიური დონით აიხსნება. ამასთან ერთად პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაზე შეფასება მეტად მკაცრად მიმდინარეობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- სილაბუსები/კონცეფციები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- სისტემები <http://elearning.iliauni.edu.ge> და <http://turnitin.com>
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- კურსების შეფასების კითხვარი
- სადოქტორო პროგრამების შეფასების კველევის ინსტრუმენტები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“ ჩარიცხული სტუდენტის მხარდაჭერისათვის, უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცენტრი და დეპარტამენტი, კერძოდ: აკადემიური წერის ცენტრი, სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი, სტუდენტური სერვის ცენტრი, საგარეო ურთიერთობების სამსახური და სხვა. ასევე სასწავლო პროცესის მართვისა და

მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა "არგუსი".

უნივერსიტეტსა და ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა აღწერილი პირობები და ორივე მხარის ვალდებულებები.

პროგრამებზე ჩარიცხული დოქტორანტებისთვის უნივერსიტეტში იმართება საინფორმაციო შეხვედრები სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. პროგრამასთან და მისი ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტებს შეუძლიათ კონსულტაცია გაიარონ ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან როგორც ყოველი სემესტრის დაწყებამდე, ასევე სემესტრის მიმდინარეობისას.

სადოქტორო სემინარების ფარგლებში გათვალისწინებულია ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ინდივიდუალური მუშაობა დოქტორანტთან, რაც სრულდება პროსპექტუსის მონახაზით, რომლის საფუძველზეც დგება დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის თუ სხვა აქტივობების გეგმა სწავლის შემდგომი პერიოდისთვის. სადოქტორო კოლოკვიუმები ემსახურება დოქტორანტების ინდივიდუალურ კვლევით საჭიროებებს, მათთვის უკუკავშირის მიწოდებას კვლევით პროცესებთან დაკავშირებით სხვადასხვა დანტერესებული მხარეების მხრიდან (ხელმძღვანელი, დარგობრივი კომისია, დამსაქმებლები და სხვა). დოქტორანტთან ინდივიდუალური მუშაობა გათვალისწინებულია აგრეთვე ასისტირების ფარგლებში, სადაც განისაზღვრება შესაბამისი შესასრულებელი აქტივობები.

ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში გათვალისწინებულია დოქტორანტებისთვის ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის/ქსელის შექმნა ინფორმაციის გაცვლის, შეკრების, კვლევის საწყისი/შუალედური შედეგების, მოხსენებების, კოლოკვიუმების ორგანიზებისა და ხელშეწყობის მიზნით და მათი კვლევებისთვის ფინანსური ხელშეწყობა, სადოქტორო სტიპენდიების მოძიებაში დახმარება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროფესორს ელექტრონული შეტყობინების სახით მობილურ ტელეფონზე მისდის დოქტორანტის ნებისმიერი წერილი, რაც აიოლებს კომუნიკაციას და უზრუნველყოფს დროულ უკუკავშირს.

ბიბლიოთეკა სისტემატურად მართავს ტრენინგებს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემისა და რესურსების (Elearning, ელექტრონული ბაზები) მოხმარების საკითხებზე. ინფორმაცია რეგულარულად თავსდება ვებგვერდზე და ეგზავნებათ დოქტორანტებს ელექტრონულ ფოსტაზე.

ჩარიცხვისას, ყველა სტუდენტს უაქტიურდება ელექტრონული სისტემა „არგუსი“, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს შეუძლიათ:

- თვალყური ადევნონ საკუთარ აკადემიურ მიღწევებს, შეფასებებსა და კრედიტებს;
- დაამყარონ კომუნიკაცია და მიიღონ უკუკავშირი ლექტორისგან შუალედურში მიღებულ ქულასთან დაკავშირებით;
- აირჩიონ სასწავლო კურსები;
- ჰქონდეთ წვდომა სასწავლო მასალასა და სილაბუსებზე; გაეცნონ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემას, მეთოდებს და კრიტერიუმებს;
- მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამებისა თუ სხვა დაგეგმილი ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ტრენინგები, სეზონური სკოლები, კონფერენციები და ა.შ.) შესახებ;
- შეაფასონ თითოეული სასწავლო კურსი.

უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური წერის ცენტრი ეხმარება სტუდენტებს აიმაღლონ აკადემიური უნარები. მაგ: ტუტორისაგან მიიღონ კონსულტაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე, დაესწრონ სემინარებს, ისარგებლონ ონლაინ რესურსებით და ა.შ. კონსულტაციებზე და სემინარებზე რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში.

უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების დოქტორანტებისათვის მიწოდებაზე

პასუხისმგებელია სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია რექტორის და ადმინისტრაციის უფროსის წინაშე. დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და ხარისხის მართვის სამსახურთან, ისევე როგორც ფაკულტეტებთან/სკოლებთან, ხოლო მის საქმიანობას უშუალო კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე. სტუდენტური სერვის-ცენტრი კოორდინირებს უწევს დოქტორანტების ინფორმირების გაზრდას კარიერული განვითარების მიმართულებით:

- მართავს დასაქმების ფორუმებს;
- აორგანიზებს სტუდენტურ პროექტებს, მასტერკლასებს და საჯარო ლექციებს;
- ქმნის და მუდმივად აახლებს დამსაქმებელთა ბაზას;
- სისტემატიურად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიებთან დაკავშირებით.

ცენტრი მხარს უჭერს დოქტორანტების ჩართვას სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში, შესაბამისად - თანამშრომლობს სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან; აორგანიზებს საჯარო ლექციებს, დისკუსიებს, საზაფხულო და ზამთრის სკოლებს; მხარს უჭერს სხვადასხვა სპორტულ და შემეცნებით აქტივობებს (მაგ. უნივერსიტეტში არსებობს მოლაშქრეთა კლუბი). დოქტორანტების ფინანსური მხარდაჭერისთვის გამოყოფილია ბიუჯეტი პროექტების განხორციელებისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიზნით. საპროექტო განაცხადი წარედგინება სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს წერილობით ან ელექტრონულად კანცელარიის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. განცხადება იწერება ადმინისტრაციის უფროსის სახელზე, რომელიც განცხადებას განსახილველად გადაუგზავნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს. განაცხადის განხილვა ხდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი, პროექტების განმხილველი კომისიის მიერ.

სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრს შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა სტუდენტმა, საჭიროების მიხედვით. ცენტრში დასაქმებულები არიან ილიას ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები.

უნივერსიტეტის განვითარების სამსახური მხარს უჭერს დოქტორანტების ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში; ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო კონკურსებისა და სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ.

საგარეო ურთიერთობების სამსახური ხელს უწყობს უცხოელი მკვლევრებისა და პროფესორების მოზილობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას; სამსახურს შემუშავებული აქვს სადოქტორო დონეზე ორმაგი ხარისხის მისაღებად საჭირო პროცედურები და დოკუმენტების ნიმუშები, მათ შორის ჩარჩო ხელშეკრულება და ერთობლივი ხელმძღვანელობის შეთანხმება.

განვითარების სამსახური ხელს უწყობს დოქტორანტებისა და მკვლევრების ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევის მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას. განვითარების სამსახური სთავაზობს მხარდაჭერ სერვისებს: დახმარება საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირება; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარება; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზება; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; ინფორმაციის გავრცელება საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ. ფაკულტეტი უზრუნველყოფს სტუდენტური პროექტების მიმართულებით წარჩინებული დოქტორანტების კონფერენციებისა თუ სხვა სახის ღონისძიებების დაფინანსებას.

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით დაწესდა პასკალის პრემია - ფულადი ჯილდო, რომლის ოდენობა 3000 ლარია. პრემია გადაეცემა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან

აფილირებულ ახალგაზრდა მეცნიერს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პუბლიკაციისთვის, რომელსაც ექნება სტატიის სახე. პრემიის მიმღებთა რიცხვი შეზღუდული არ არის. ჯილდო ერთ კანდიდატზე გაიცემა წელიწადში მაქსიმუმ სამ სტატიაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი“
- საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია <http://argus.iliauni.edu.ge>
- ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა <http://library.iliauni.edu.ge>
- სილაბუსები და კონცეფციები-
- პასკალის პრემიის დაწესების შესახებ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება; ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში.
- კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი-
- კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის დებულება <http://internationaldoctoralschool.iliauni.edu.ge/home/>
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დებულება
- სტუდენტური სერვისების სამსახურის დებულება
- აკადემიური წერის ცენტრი <http://writingcentre.iliauni.edu.ge/>.
- ჩართული პერსონალის საგრანტო პროექტების ხელშეკრულებები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია.

ყველა დოქტორანტი უზრუნველყოფილია კვალიფიციური ხელმძღვანელითა და ტექნიკური რესურსით. დისერტაციის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს: უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, პროფესორ-ემერიტუსი. ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი და აქტიურად იღებდეს მონაწილეობას სამეცნიერო კვლევებში. ხელმძღვანელის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები უნდა ესადაგებოდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემას. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე

ხელმძღვანელი ან დამატებით - თანახელმძღვანელი, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს სხვა აკადემიურ დაწესებულებას, მათ შორის უცხო ქვეყნის აკადემიურ ინსტიტუციებს საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით.

სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტს ეხმარება კვლევის წარმოების ყველა ეტაპზე: აქვს რეგულარული კონსულტაციები დოქტორანტთან პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე; აძლევს დოქტორანტს პროგრესზე პერიოდულ უკუკავშირს, ზოგად სამეცნიერო რჩევებს, ეხმარება დიზაინისა და პროექტის მენეჯმენტში; ხელმძღვანელობს თეზისის, სამეცნიერო ნაშრომის, დისერტაციის წერის პროცესში, მხარს უჭერს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესს და საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების შედეგების წარდგენას. ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტურის სტუდენტებთან.

ექსპერტთა ვიზიტის დროს დათვალთქმული სადისერტაციო ნაშრომები (განსხვავებული მიმართულების და განსხვავებულად შეფასებული) შეესაბამებოდა გაფორმების წესებსა და სადისერტაციო ნაშრომისადმი არსებულ სხვა მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კონსულტაციების განრიგი ლექტორთან შეთანხმების საფუძველზე - სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“ <http://argus.iliauni.edu.ge>;
- სადოქტორო პროგრამა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები/კონცეფციები
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- დოქტორანტების ხელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ახორციელებენ ბიოლოგიის დარგის მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები, მათ გააჩნიათ მრავალწლიანი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე უცხოეთში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ფუნქციები და დატვირთვა სრულადაა შესაბამისობაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციებით.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი სრულად აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს წარმოდგენილი პროგრამის განსახორციელებლად, მათ ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვთ 200-მდე პუბლიკაცია ადგილობრივ თუ საერთაშორისო მაღალრეიტინგულ გამოცემებში.

სადოქტორო პროგრამის „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“ განხორციელებაში ჩართულია 7 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 3 უცხოელი მეცნიერი, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ 1 მოწვეული მეცნიერი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მეცნიერთა ჩართულობა უზრუნველყოფს, როგორც სასწავლო პროგრამის განხორციელებას, ასევე შესაბამისი კვლევისა და მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (14/1), ლექტორებსა და პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს შორის თანაფარდობა (15/4) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელები წარმოდგენენ ბიოლოგიის დარგის წამყვან მეცნიერებს, პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსით, მათ უდავოდ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის შესამუშავებლად გათვალისწინებულია ევროპის და ამერიკის წამყვანი უნივერსი-

ტეტების გამოცდილება, ხოლო პროგრამის ფარგლებში მოწვეული მაღალი რანგის უცხოელი მეცნიერები, რომლებიც საგნამანათლებლო საქმიანობის პარალელურად ჩართულნი არიან უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო/კვლევით პროცესებში, უზრუნველყოფენ თანამედროვე სასწავლო გარემოს, კვლევაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის განხორციელებას.

პროექტის შემუშავებაში და განხორციელებაში უნივერსიტეტს კონსულტაციას უწევენ ექსპერტები, გეტინგენის უნივერსიტეტიდან (გერმანია), გლაზგოს უნივერსიტეტიდან (დიდი ბრიტანეთი); როქფელერის უნივერსიტეტიდან (აშშ); კალიფორნიის უნივერსიტეტიდან (აშშ). პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უშუალოდაა ჩართული პროგრამის სწორად და ეფექტურად წარმართვის საქმიანობაში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალს შესაბამისი ტრენინგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი ფაილები
- პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები: CV, პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელ-შეკრულებები
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- აკადემიური პერსონალის პროგრამაში დატვირთვის სქემა
- გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრება მაგისტრანტებთან / დოქტორანტებთან / კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის“ მოთხოვნებს, აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო

და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო შედეგების ანალიზს. მეცნიერის ყოველწლიური შეფასების კრიტერიუმები დაწვრილებითაა წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს და ხელს უწყობს როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების დაფინანსების საკითხებს, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობისთვის.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის აქტიური საქმიანობის მაჩვენებელია, უნივერსიტეტში არსებული მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც დაარსდა ERASMUS + პროექტის PRINTeL მხარდაჭერით, ცენტრის მრავალფეროვანი საქმიანობა დაწვრილებითაა წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. ცენტრი უდავოდ ემსახურება უნივერსიტეტში დასაქმებული სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო პროცესებში ჩართული პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

2017 წელს უნივერსიტეტი გახდა ევროკომისიის პროექტის NUCLEUS-ს კონსორციუმის წევრი, პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას და მათ ინტერნაციონალიზაციას, და ასევე სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული კვლევებისა და ინოვაციების სტიმულირებას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო საბჭო, რომლის საქმიანობაც რეგულირდება შესაბამისი დებულებით, საბჭო სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურთან ერთად გეგმავს და მართავს უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის „დღის წესრიგს“, არეგულირებს და აფასებს საქმიანობის ხარისხს, ხელს უწყობს პერსონალის მეცნიერულ განვითარებას, ჩართულია უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო საგრანტო პროექტების მიმდინარეობის პროცესებში, რაც გულისხმობს შემდეგ სერვისებს: დახმარება საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირება; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარება; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზება; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; ინფორმაციის გავრცელება საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიოს მრავალ წამყვან ინსტიტუციასთან. აღსანიშნავია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფართო მასშტაბები, რისთვისაც უნივერსიტეტს გააჩნია, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე აკადემიური რესურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი;
- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება
- სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები
- გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრება მაგისტრანტებთან / დოქტორანტებთან / კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ობიექტები საკმარისია პროგრამის ფარგლებში თეორიული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად. კლინიკური ობიექტები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც ფუნქციონირებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, არის სრულად აღჭურვილი ყველა აუცილებელი შესაძლებლობებით, ლაბორატორიული ტექნიკით და ბიოუსაფრთხოების (BSL 1; BSL 2) შესაბამისი დონეებით. ფუნქციონირებს ვივარიუმი, რომელიც გათვლილია მცირე ლაბორატორიული ცხოველებისა და ქორდიანების შენახვისა და გამრავლებისთვის. ვივარიუმი აღჭურვილია თანამედროვე, როგორც ღია, ასევე ინდივიდუალური ვენტილაციის ტიპის (IVC) გალიათა სისტემებით. უნდა აღნიშნოს, რომ სტუდენტებს აქვთ სრული წვდომა მილ-ღვიძილის და ქიმიური ბიოლოგიის უნიკალურ ლაბორატორებთან, რომლებშიც მუშაობა იგეგმება 24 საათიანი ციკლით.

გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში დოქტორანტებს და ს/კ პერსონალს ეძლევათ საშუალება საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ ქვეყნის წამყვანი ს/კ ცენტრების და ლაბორატორიების ინფრასტრუქტურა და შესაძლებლობები, მათ შორის: ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის, რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის, გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის, ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის.

უნივერსიტეტის კამპუსის ინფრასტრუქტურა მოიცავს: ბიბლიოთეკას, (რომელიც წარმოდგენილია ათამდე სამკითხველო სივრცით), სპორტულ დარბაზს, კულტურის ცენტრს, კაფეტერიას, საგამოცდო ცენტრს, თანამედროვე პარკინგს, საკომფერენციო და კინოთეატრის დარბაზებს და სხვა.

ბიბლიოთეკაში უახლესი სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურა წარმოდგენილია ფართოდ, როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული რესურსებით, აღსანიშნავია საერთაშორისო აკადემიური ბაზები როგორებიცაა: Scopus; Cambridge Journals; Britannica Encyclopedia და სხვა. ხელმისაწვდომია ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის.

ბიბლიოთეკის მიერ შემოთავაზებული სერვისებიდან ხაზი უნდა გაესვას ტრენინგებს: “სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენება” და “საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენება”, აღნიშნული ტრენინგები უადვილებს მომხმარებელს საბიბლიოთეკო რესურსების სრულფასოვნად გამოყენებას.

უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული ფოსტისა და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”, სტუდენტი სასწავლო პროცესს გეგმავს არგუსის საშუალებით, სისტემა ეხმარება მათ უნივერსიტეტის სამსახურებთან კომუნიკაციაში, სასწავლო ცხრილის შედგენასა და სწავლის მიღწევების შესახებ ინფორმირებაში. ფუნქციონირებს სწავლების ელექტრონული პორტალი “e-learning” და პროგრამა „TURNITIN“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თვითშეფასების ანგარიში
- ვიზიტი უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დათვალიერების მიზნით
- ონლაინ ჩართვები ლაბორატორიებიდან და ბიბლიოთეკიდან ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის დემონსტრაციის მიზნით
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები <http://library.iliauni.edu.ge/>
- ელექტრონული სწავლების პორტალი <http://elearning.iliauni.edu.ge/>, Turnitin
- გასაუბრებები აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ადმინისტრაციასთან
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ბიოუსაფრთხოების სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბიოუსაფრთხოების პირველი (BSL 1) და მეორე (BSL 2) დონის ლაბორატორიების რეკონსტრუქცია, ბიოუსაფრთხოების და ცხოველთა მოვლის და შენახვის თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლების-გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით, ამასთან, უნივერსიტეტის ხარჯვით ნაწილში მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები სადოქტორო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 70.000 ლარი, საიდანაც

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია:

- ✓ სალექციო ხარჯი - 40.000 ლარი;
- ✓ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრირების, გადასხადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის და მოვლა-შენახვის ხარჯი - 20.000 ლარი;
- ✓ პროგრამისთვის საჭირო სპეციალური ლიტერატურის, დამხმარე სასწავლო მასალების, საბიბლიოთეკო რესურსის, ექსპედიციების, სასწავლო პრაქტიკის და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სხვა ხარჯი - 5.000 ლარი;
- ✓ გაუთვალისწინებელი და განვითარების ხარჯი - 5.000 ლარი;

დოქტორანტურაში სწავლა უფასოა, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტიდან, ეს ხელს არ უშლის პროგრამის ფინანსურ სტაბილურობას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში, გარდა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებული

თემატიკებისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებით, რომელთა დაფინანსების წილი ცალსახად ისახება უნივერსიტეტის ფინანსურ შემოსავლებში.

ინსტიტუცია წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი
- მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები სადოქტორო პროგრამის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურების წარმომადგენლებთან და რექტორთან
- გასაუბრება დოქტორანტურის კურსდამთავრებულებთან და დოქტორანტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. ამ ორი დოკუმენტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, ხოლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შიდა და გარე მექანიზმები.

ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების, უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები. კვლევების შედეგები აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშებში, რომლებიც მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს კვლევის შედეგებს პროგრამის ხელმძღვანელებთან და პერსონალთან, რომლებიც პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ ხარისხის შეფასების შედეგებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა ხარისხის განვითარების ინსტრუმენტს წარმოადგენს პერიოდული შიდა თვითშეფასების ანგარიში, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში შეგროვებული მონაცემები, თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და პროგრამის განვითარებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა თვითშეფასება არის უწყვეტი პროცესი.

პროგრამის განვითარების დინამიკის და ტენდენციების გამოვლენის მიზნით, ყოველ მომდევნო საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ხდება შედეგების შედარება წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემებთან. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პერიოდული თვითშეფასების ანგარიშები საშუალებას აძლევს სამსახურს შეფასოს გაითვალისწინა თუ არა პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შიდა ხარისხის კვლევებით მიღებული შედეგები პროგრამის განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

5.2 გარე ხარისხის შეფასება
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“ გარე შეფასება - აკრედიტაცია განხორციელდა 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №103, 17.10.2011) და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციები გაცემული არ ყოფილა.</p> <p>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებები გაკეთებული უცხოელი კოლეგების მიერ, კერძოდ, გარე შეფასება გააკეთა რობინსონ კოლეჯის (კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო) ემერიტუსმა, დოქტორმა მაკკაბემ და იზმირის ბორნოვას უნივერსიტეტის პროფესორმა, თურქეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, ევროპის ბიოქიმიურ საზოგადოებათა ფედერაციის საგანმანათლებლო კომიტეტის თავჯდომარემ ფერჰან საგინმა. მათი შეფასებები პოზიტიურია.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უცხოელი კოლეგების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება კარგი პრაქტიკაა. საერთაშორისო პარტნიორები საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას ძირითად აქცენტებს აკეთებენ საერთაშორისო ტენდენციებზე, განსაზღვრავენ პრიორიტეტებს და საკუთარ თავს ხედავენ პროგრამის განვითარების, სწავლების ნაწილში. მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამების განვითარების პროცესი კი ხდება სინქრონიზებული საერთაშორისო ტენდენციებთან და მოლოდინებთან.</p> <p>პროგრამის გარე შეფასება ტარდება კურსდამთავრებულთა და პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობით. ასეთი კვლევის მიზანია პროგრამის განვითარება დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები • უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასებები • დამსაქმებლის კვლევის ანგარიში • კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ითვალისწინებს სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების შესრულებას, პროგრამის მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. კვლევები ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით.

ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში მოცემულია სისტემური კვლევების რუკა და კვლევების განხორციელების ვადები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სტუდენტების, ლექტორების/სამეცნიერო პერსონალის კმაყოფილების კვლევა; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის, კვლევების შეფასება; პროგრამაზე მიღების შეფასება; სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა; მობილობის კვლევა; აკადემიური მოსწრების ანალიზი; კურსების/კომპონენტების შეფასება; დამსაქმებლის/პარტნიორის შეფასება; სტუდენტების დასაქმების კვლევა; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა. აღნიშნული კვლევებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარები და გამოკითხვისთვის იყენებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემას „არგუს“ ან ფოკუს ჯგუფებს.

კითხვარების ფორმები და ჩამოთვლილი კვლევების/შეფასებების შედეგები უსდ-ს წარმოდგენილი აქვს აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის თანმხლებ დანართებში. გამოკითხვებში მონაწილეობა ინტერვიუებზე დაადასტურა აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებელმა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარების მიზნით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად დამსაქმებლების გამოკითხვა მოხდა შემდეგ საკითხებთან მიმართებაში: კურსდამთავრებულთა კომპეტენციები, პროგრამის შესაბამისობა შრომით ბაზრის მოთხოვნებთან და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები, კვლევა განხორციელდა 2020 წელს და კვლევის შედეგების ანალიზი წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისი დანართის სახით. კვლევის შედეგები გამოყენებული იყო პროგრამის განვითარებისთვის.

აკადემიური პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით უსდ ასევე ანხორციელებს პროგრამის შემადგენელი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების შეფასებას სტუდენტების გამოკითხვით. შეფასება ხდება კურსის ბოლოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. კვლევა ხორციელდება არგუსის ელექტრონული გამოკითხვის მექანიზმის გამოყენებით. კვლევის სამიზნე ჯგუფს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები წარმოადგენენ.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შეფასების და მისი შემდგომი განვითარების და გაუმჯობესების მიზნით უსდ-ში სისტემატიურად ტარდება სტუდენტების დასაქმების კვლევა. კვლევა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. პროგრამის შეფასების ეს მექანიზმი ინტერვიუს დროს აღწერილი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიერ და კვლევის მექანიზმი, გამოკითხვის ფორმა და

2019 წელს განხორციელებული კვლევის შედეგები წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტების სახით.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული მონიტორინგის, კვლევის შედეგები გამოიყენება როგორც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიერ საკუთარი საქმიანობის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის.

განვითარების და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პერიოდულად ხდება საგანმანათლებლო პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, ასევე უცხოელი კოლეგების შეფასებების გამოყენება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვიზიტისას ისაუბრეს პროგრამის ხელმძღვანელებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა. გარდა ამისა, უსდ-ს მიერ წარმოდგენილია ანალოგიური პროგრამების ჩამონათვალი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის მონიტორინგით და პერიოდული შეფასებებით, წარმოებული კვლევებით მიღებული შედეგებით ხდება პროგრამის ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში განვითარებაზე ორიენტირებული ცვლილებების განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- კვლევის ინსტრუმენტები და კვლევის შედეგების ანგარიშები
- პროგრამით კმაყოფილების კვლევის მექანიზმი და კვლევის შედეგები.
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
სადოქტორო პროგრამა „მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			
---	---	--	--	--

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ელენე ჩერქეზია




აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეა მჭედლოური



სახელი, გვარი, ხელმოწერა ნათია ლაჭავა



სახელი, გვარი, ხელმოწერა ლევან ციციშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა მარიამ აბულაძე

